ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7266292

ნომერი: AR11062387

თარიღი : 18.10.2024

გაცემის თარიღი : 28.10.2024

გაცნობის თარიღი : 28.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის ქუჩა N12 / გორგასლის ქ. N71;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ჩუჟინოვი პ/ნ 01008044173
- საქართველო, ქალაქი თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 18 ოქტომბერს №AR11062387 განცხადებით მომართა ვლადიმერ ჩუჟინოვმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 07

ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.06.019.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საავადმყოფოს 2/1 და 3/11 შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 2026 წლის 7 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში გამორჩენილია ჩანაწერი: „A“ ბლოკზე შენობა №4/6 კავშირი შენობა №1/11-თან მოსაწყობ კიბესთან დაკავშირებით“.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 18 ივლისს №AR11047880 განცხადებით მოთხოვნილ იქნა საავადმყოფოს 2/1 და 3/11 შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამასთან, აღნიშნულ განცხადებაზე განმცხადებელი განმარტავდა, რომ სურდა საევაკუაციო კიბეების მოწყობაც. სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. თუმცა, სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად №4/6 და №1/11 შენობების დამაკავშირებელი კიბის მოწყობასთან დაკავშირებით ჩანაწერი არ დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №12/გორგასლის ქუჩა №71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.06.019.096) საავადმყოფოს 2/1 და 3/11 შენობების რეკონსტრუქციის, ასევე, №4/6 და №1/11 შენობების დამაკავშირებელი კიბის მოწყობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 07 ოქტომბრის №7243394 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.